თეიმურაზ გოჩიტაშვილი

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი, საქართველო

პროფესორი თეიმურაზ გოჩიტაშვილი მრავალი სამეცნიერო, საინჟინრო სამუშაოს ავტორია ენერგეტიკული პოლიტიკის, ბუნებრივი რესურსების მართვასა და მილსადენი ტრანსპორტის დარგში მუშაობის 50 წლის განმავლობაში. იგი არის ავტორი (თანაავტორი) 250-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის, სახელმძღვანელოების, საპროექტო-ნორმატიული დოკუმენტების, გამოგონებებისა და პატენტების, მათ შორის ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული მონოგრაფიების: მაგისტრალური მილსადენების საიმედოობა, ბუნებრივი გაზის სატრანზიტო ქვეყნების უსაფრთხოება (NATO ARV-ის დაფინანსებით), საქართველოს მაგისტრალური ნავთობ-გაზსადენები, საქართველოს გაზის სექტორის განვითარების პრიორიტეტები, საქართველოს ნავთობგაზიანობა, საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში და ა.შ.

პროფ. გოჩიტაშვილი ჩართულია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში.

თ. გოჩიტაშვილი უშუალოდ მონაწილეობდა ექსპერტის ან მენეჯერის სტატუსით, ენერგოსექტორის განვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორისაა: სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი (საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია), ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი (საქართველოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი), სატრანზიტო მილსადენების ენერგოპოლიტიკა (ჰიუსტონის უნივერსიტეტი), თბილისში ამერიკის საელჩოს კომპლექსის ინფრასტუქტურა (კომპანია „ჯეოინჟინირინგი“), საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ინიციატივა და ბუნებრივი გაზის სტრატეგია საქართველოსთვის (USAID), აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონეკტორი (AGRI), ევროაზიური ნავთობის სატრანსპორტო დერეფანი (EAOTC), საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის პროექტი, გაზის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური, საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურის განვითარების 10-წლიანი პროგრამა და სხვა.

2007 წლიდან თეიმურაზ გოჩიტაშვილი მუშაობს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში ქვეყნის ნავთობინდუსტრიის დაგეგმვისა და განვითარების აქტუალურ

საკითხებზე ტექნიკური დირექტორის, კომერციული დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, სტრატეგიის, ანალიზისა და პერსპექტიული პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მრჩევლის სტატუსით.

მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური და წარმატებული საინჟინრო საქმიანობისათვის, მილსადენი ტრანსპორტისა და საქართველოს ნავთობგაზის ინდუსტრიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, თეიმურაზ გოჩიტაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, აგრეთვე სხვადასხვა სახელობითი და საქართველოსა და სხვა ქვეყნების უწყებრივი ჯილდოებით.